ახალი გაზეთი

„ბედნიერია ის, ვისაც საკმაოზლოსათვის უძგერს გული„

89-ე წელი თავიდან ერთად!

2020 წელი 29 ოქტომბერი № 10 № 8163

ელფოსტა AxaliGantiadi@gmail.com

გილოცავთ კასპელებო!

კასპში 50 წლის წინ, 1970 წლის 22 ნოემბერს, დაიდგა გიორგი სააკაძის ძეგლი

გვ2-3.

ძეგლისდაგ ბედისწერიანი

გმირის სახელობითი სტიპენდიანტები

გვ4.

გვ4.

რეაბილიტაციის ეტაპის სამუშაოები

კასპში საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნება

გვ4.

სოფელ ხოვლეში გაზიფიცირების სამუშაოები მიმდინარეობს

გვ4.

სასმელი წყლის მოწყობის სამუშაოები

გვ4.

ახალი სტანდარტების სრული დაცვით

გვ9.

სასაუძის ცდები ქვეყნის საშინაო მდგომარეობის განსამყარებლად

გვ5.

ყანჩელი ბიჯურნ

გვ2.

არჩევანი თქვენ!

“ბედი მთელ ერს არ სწყალობდა...”

გვ3.

გვ3.

გვ6.

გიორგი ცაცაძის ჩანაწერები

,,ვინაც ცხემშობლოისთვის ოძგერს გულია,,

1970 წლის 22 ნოემბერს ჩვენს ქალაქში მოხდა მის ისტორიაში ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა - დაიდგა გიორგი სააკაძის ქანდაკება.

თითქმის 350 წლის შემდეგ მშობელ კუთხეს დაუბრუნდა საქართველოდან შორს გადახვეწილი შვილი, დაუბრუნდა ცხენზე ამხედრებული, გაშიშვლებული ხმლით, მხნე, უტეხი, მამულისათვის გულანთებული...

დიდი მოურავი მშობელ მიწას დაუბრუნა გამოჩენილმა მოქანდაკემ მერაბ ბერძენიშვილმა.

... და, აი, უკვე 50 წელია, ძეგლი ჩვენს ქალაქშია.

50 წლის მანძილზე ხელოვნების ბრწყინვალე ქმნილება ჩვენი ქალაქის სავიზიტო ღირსშესანიშნაობა გახლავთ. ასე რომ, ჩვენი გიორგი საკაძის ძეგლი იუბილარია. უკვდავია საქმენი დიდი მოურავისა და უკვდავია მერაბ ბერძენიშვილის ,,გიორგი საკაძე,,.

ინტერვიუ ჩაწერილია 1980 წელს ძეგლის გახსნის 10 წლისთავთან დაკავშირებით

გაზეთ "განთიადის" დავალებით მხატვარი ი. იმედაშვილი შეხვდა გამოჩენილ ქართველ მოქანდაკეს, სსრკ სახელმწიფო და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების ლაურეატს მერაბ ბერძენიშვილს და ესაუბრა მას.

— თქვენი სადიპლომო ნამუშევრიდან ("შოთა რუსთაველი") დღემდე ("ჯარისკაცის მამა") როგორ ფიქრობთ, რა ევოლუცია განიცადა თქვენმა ქანდაკებამ, რა ახალი მხატვრული ამოცანა გადაიჭრა?

— თუ როგორი "ტრაკტოვკით" გადაწყვეტს მხატვარი ამა თუ იმ სახეს, მას თვით ობიექტი კარნახობს. ამოცანა კი ერთია, იგი სწორად პასუხობდეს ქანდაკების ენას, ე. ი. პლასტიკას, რისი საშუალებითაც იგი საუბრობს.

— ძველი ქართული კლასიკური ბარელიეფიდან დღევანდელ მონუმენტურ ქანდაკებამდე მისვლა როგორ მოხდა? თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ეს უეცარი "აფეთქება" ქანდაკებისა?

— ძველი ქართული ბარელიეფების მკეთებელმა ძალზედ კარგად იცოდა, რა მნიშვნელობით აკეთებდა რელიეფს ქვაში — იგი წმინდა დეკორის ხასიათს ატარებდა, ამიტომაც ძველ ქართველთ არ დავიწყებიათ, რომ ჩვენი ქვეყანა მზის ქვეყანაა და ამიტომაც დიდი ყურადღება დაუთმიათ შუქ-ჩრდილის მნიშვნელობისათვის, რაც მათ დიდოსტატობაზე მეტყველებს.

როგორც ცნობილია, ძველი ქართული მრგვალი ქანდაკება არ შემოგვრჩა, და აი დღეს იგი თავის სათქმელს ხმამაღლა ამბობს. მისი "ფეთქების" მიზეზი, ჩემის აზრით, გახლავთ ის, რომ ჩვენდა საბედნიეროდ, ამ საქმეს საწყისშივე ორი დიდი ქომაგი გამოუჩნდა, რომელთა მხატვრული აზროვნება რადიკალურად ერთმანეთის საწინააღმდეგო იყო. ესენი გახლავთ იაკობ ნიკოლაძე და ნიკოლოზ კანდელაკი. მათ პრინციპულ დამოკიდებულებას სტუდენტებიც იზიარებდნენ. იყო სჯა-ბაასი, გარჩევები, რის შედეგადაც ყოველთვის

გაგრძელება გვ-3.

საკაძის ძეგლის გახსნიდან 8 წლის თავზე გამოიცა მერაბ ბერძენიშვილის წიგნი "ზარი", რომელიც უსწრაფესად იქცა ბუკინისტურ იშვიათობად. წიგნში შესული მრავალი მოთხრობიდან, მოგონებიდან, ლირიკული ჩანახატიდან ზოგიერთი ეძღვნება გიორგი საკაძის ქანდაკებაზე მუშაობას, კასპში მის დადგმას და სხვა. გთავაზობთ ნიმუშს წიგნიდან "ზარი".

ყვავილი ბიჭუნა

მთავარ მოედანზე, სადაც გიორგი საკაძე დგას, ადამიანის ჭაჭანება არ იყო. ისედაც გაავებული გიორგი ამ სიცხეში მთლად გაგიჟებულიყო. ცხენიც და თვითონ, ორივე, ლამობდნენ კვარცხლბეკიდან გადმოფრენას. აქაფებულ ცხენსა და ოფლში გახვითქულ გიორგის თეთრი მტვერი ადვილად ეკრობოდა. ვიდექი ერთი პატარა ხის ძირში. რა მკვდარია ყველაფერი ირგვლივ, რისთვის იღვწვი, გიორგი?! რატომ გაშმაგებულხარ აგრე, ხომ ხედავ, აღარც მოყვარეა და აღარც მტერი. იქნებ, მიწყრები, აქედან გაქცეულს, აქ რომ მიგიჩინე ბინა, იქნება ხმალი არ მოგწონს, ან ცხენის მოსართავი? თუ ასეა, ეგ უნდა მაპატიო, შენს თანამემამულეთ ყველანაირი ხმალი, აბჯარი თუ ცხენის მოსართავი გაუჩუქებიათ და ნახვა რომ გინდოდეს, მუზეუმშიც არა დევს. კიდევ კარგი, რომ დიდად პატივცემულ ივანე ჯავახიშვილს შემორჩა აღწერილობა. მისი მადლობელი უნდა ვიყოთ ორივენი. თუ რამე დაგაკელი, მხოლოდ იმიტომ, რომ ყველასთვის მეთქვა, როგორი იყავი შენ და არა მოსართავები. უბელო ცხენზეც რომ ივჯდე, შენ შენა ხარ, გიორგი. შენი ბობოქარი ცხოვრება და შენ ერთად გაცოცხლდით ბრინჯაოში, აი, ხომ ხედავ, ხომ შენში უფრო ბორგავს სიცოცხლე, ვინემ აი, ვინემ აი, იმ ორ ადამიანში, შენ წინ რომ გამოჩნდნენ ჩემოდნებით ხელში. აი, გაჩერდნენ, შენ ვერც კი გამჩნევენ. შეიძლება გადათელოს კიდეც შენმა ცხენმა საწყლები; ისინი კი გასავათებულნი დადგნენ, ჩაიმუხლეს. ეტყობა, ავტობუსს უცდიან. გამოჩნდა მტვრიანი ავტობუსი თუხთუხითა და ხვნეშით. უეცრად, სიდან, არ ვიცი, მაგრამ ყოველი მხრიდან გამოცვივდა ხალხი. შეიქმნა ომი ავტობუსზე ასასვლელად. გიორგის არაფრად უღირდა ასეთი პატარა ომების გადახდა. არც ამ მეომრებს შეუმჩნევიათ ნატანჯი გიორგის სახე. წავიდა ავტობუსი. დავრჩით კვლავ ორნი, — მე და გიორგი. იწვოდა კასპის მოედანი. ჩემი საჩრდილობლის გვერდზე ბაჭიასავებ რაღაც ფუსფუსებდა. მივუახლოვდი. შემომხედა. გავუღიმე, ოფლი მოიწმინდა. მერე კვლავ საქმე გააგრძელა. გამალებით ხმარობდა ფანქარს პატარა, გიორგის ხატავდა.

— მოგწონს, ბიჭუნა?

— მაშ, არადა, არ მამწონს და იმიტომ ვხატავ!

— კი მაგრამ, რაღა პაპანაქება დღე აგირჩევია?

— ხელს არავინ მიშლის და, თანაც, ამ დროს ყველაზე ლამაზად იყურება.

— მე მგონი, პატარა თავს უხატავ გიორგის.

- დიდი თავი ძეგველ მიშას აქვს. — მიპასუხა ბურდღუნით.

ამ ბიჭში გიორგისეული სული ტრიალებდა, იგი ზედაც არ მიყურებდა, გამალებით უსვამდა ფანქარს.

— გიყვარს ხატვა, ბიჭო?

— კაცო, ამ სიცხეში იმიტომ მოველი, კითხვა-პასუხს ავცდენოდი. მომეშვი, საქმე არა გაქვს?!

— კარგი, წავალ-მეთქი, — ვუთხარი და ფლომასტერი ქაღალდზე დავუდე.

როცა მანქანა დავძარი, ფეხზე წამოიჭრა ყმაწვილი, ფლომასტერი მაღლა აეწია და მადლობა მომაძახა. გარუჯულ სახეზე მხიარულება დასტყობოდა.

შოთა ნიშნიანიძე

კასპში
კი ძეგლი —
— უკუღმართი
დროის დიდება,
ვეებერთელას
არა მახვილს,
ჯავრს
ეზიდება.
ელვა-გრიგალი —
დაკუნთული
ჯგრო მუხის
რკოთა
ცდილობს
ამოხტეს
ბრინჯაოდან,
ბუდიდან,
დროდან...
და თუმცა
რიხი შეჰკორძვია
ტანს
ქვითკირივით,
ლომის ბუხუნში
ჩუმად
ისმის
კაცის
ტირილიც...

„ვინც ცემშობლოთვის ოქვერს გოლი..

დასასრული. დასაწყისი გვ-2.

ახალი აზრები, ახალი პრინციპები ისახებოდა. რაც მთავარია, მისი აფეთქების მიზეზი უნდა ვეძიოთ ქანდაკებისადმი სიყვარულში, რომელიც მშვენივრად ჩანს ჩემი თაობის წარმომადგენლებში.

იბადებოდა თაობა, რომელმაც ქანდაკებისადმი დიდი სიყვარული და თავისი ერისადმი დიდი პასუხისმგებლობა იწამა, ესენი იყვნენ ძმები ოჩიაურები: ირაკლი და გიორგი, ეთერ კაკაბაძე, გურამ კორძახია, ელგუჯა ამაშუკელი, გულდა კალაძე, ჯუნა მიქატაძე, მერაბ მერაბიშვილი, კარლო გრიგოლია, ვახტანგ ონიანი, ბორია ციბაძე, ლევან მხეიძე, გურამ ქაჯაია და სხვები, რომელთა ქანდაკებები ამშვენებს ჩვენი ქვეყნის მრავალ კუთხეს.

– რა გეხმარებათ შემოქმედებით მუშაობაში?

– ჩემი ქვეყნის სიყვარული.

– ალბათ, გსურთ, ხშირად ნახოთ თქვენი ქანდაკებები, გაფანტული მთელ საქართველოში. რამდენ ხანში ერთხელ ჩამოუვლით ხოლმე თქვენს ნახელავებს?

– ხშირად მიხდება ხოლმე ჩამოვლა. ზოგჯერ ისეთ გუნებაზე დავუყენებივარ ჩემს ქანდაკებას, როგორც მშობელს დაბეჩავებული შვილის ხილვა დააყენებს.

“ბედი მთელ ერს არ სწყალობდა...”

საქართველოსთან განუყრელად ვარ დაკავშირებული, უკვე დიდი ხანია.

თქვენში ავიდგი ფეხი, როგორც მეცნიერმა, თქვენმა ქვეყანამ, მისმა გმირულმა ისტორიამ, მრავალფეროვანმა ბუნებამა და მისმა მამაცმა ხალხმა ძლიერ დამაინტერესა და თავი შემაყვარა.

მოვლილი მაქვს მთელი საქართველო, მისი ყველა კუთხე: ვყოფილვარ კახეთში, აჭარასა და გურიაში, სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმში, მოვიარე აფხაზეთი, თუშეთი, ხევი და ხევსურეთი და დღეს ქართლში ვარ – საქართველოს გულში.

მე ყველგან მაოცებდა წარსულისადმი ის დიდი მოწიწება და პატივი, რაც ხალხშია შემონახული. სხვანაირად არც შეიძლება: როცა ერს ამდენი დიდი შვილი ჰყავს, შეუძლებელია მათი სახელი პატივისცემითა და სიყვარულით არ იყოს გარემოსილი.

ქართველი ხალხის საყვარელ გმირებს შორის გამოირჩევა თქვენი თანამემამულე გიორგი სააკაძე. მისი ცხოვრება იყო ერისათვის თავდადება, მაგრამ მას ბედი არ სწყალობდა, ისევე როგორც მის ერს იმ პერიოდში. დღეს კი იგი დაგიბრუნდათ კასპელებს, როგორც ერის წინაშე ვალმოხდილი მებრძოლი.

ყოველთვის, როცა ვმოგზაურობდი თქვენს ქვეყანაში, ვხვდებოდი ადამიანებს, ვეცნობოდი მათ, კარგად ვგრძნობდი, რომ თითოეულ ქართველში გიორგი სააკაძის სისხლი ჩქეფს, მისი გული ძგერს.

(სიტყვა წარმოთქვა ქართულ ენაზე).

ჰაინც ფენრიხი, გერმანელი ქართველოლოგი, იენის ფრ. შილერის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი.

სააკაძის ცდები ქვეყნის საშინაო მდგომარეობის განსამტკიცებლად

1606 წლის დასაწყისში გამეფდა ლუარსაბ მეორე. იგი ამ დროს 14 წლის ჭაბუკი იყო. წყაროები ლუარსაბს ახასიათებენ, როგორც წარმოსადეგ და ლამაზ ვაჟკაცს, უშიშარსა და მამაც მებრძოლს, მაგრამ გამოუცდელ პოლიტიკოსს და სუსტი ხასიათის ადამიანს. მისი, როგორც სახელმწიფოს მეთაურის, წინაშე კი უაღრესად რთული და დიდი ამოცანები იდგა.

მართლაცდა მძიმე მდგომარეობაში იყო ქართლი. თურქების წინააღმდეგ წარმოებული ხანგრძლივი ომების შედეგად ქვეყანა გაჩანაგებული, მოსახლეობა შემცირებული და გაღარიბებული, ცენტრალური ხელისუფლება დასუსტებული და ფეოდალური ანარქია გაძლიერებული იყო. ქვეყანას მტკიცე ხელი და დიდი ორგანიზატორი სჭირდებოდა. ასეთი იყო გიორგი სააკაძე.

მკითხველმა იცის, რომ სააკაძე რამდენიმე წლის განმავლობაში იმყოფებოდა ოსმალეთში ტყვე მეფის სიმონის მხლებლად, სადაც მას საშუალება ჰქონდა დაკვირვებოდა და შეესწავლა არა მარტო თურქეთის სახელმწიფო წყობილება და საშინაო მდგომარეობა, არამედ იმდროინდელი ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო ვითარებაც.

შემდეგ მან ირანშიც იმოგზაურა. 1606 წ. შაჰ-აბასმა ცოლად შეირთო ლუარსაბის და ლელა, რომელსაც მრავალრიცხოვანი ამალა გაჰყვა ირანში. პლატონ იოსელიანის გადმოცემით, ამ ამალაში გიორგი სააკაძეც ყოფილა. შაჰ-აბასს დიდი პატივით მიუღია გიორგი სააკაძე, რომლის პიროვნება მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო (შეიძლება, ისინი შეხვდნენ კიდეც ერთმანეთს ერევნის ალყის დროს 1604 წელს. (საფიქრებელია, რომ სააკაძე მეფე გიორგის ჯარში ყოფილიყო), შაჰს გიორგი სხვებთან ერთად უხვად დაჯილდოებული გამოუსტუმრებია საქართველოში. ამრიგად, სააკაძეს საშუალება ჰქონდა გაცნობოდა ირანის ვითარებასაც და შაჰის იმ ღონისძიებებსაც, რომელიც მან ქვეყნის ცენტრალიზაციის გასაძლიერებლად გამოიყენა (დიდი ფეოდალების ალაგმვა, “უგვარო” მოხელეების დაწინაურება, ვაჭრობა-ხელოსნობისათვის ხელის შეწყობა და სხვა). თუმცა, გიორგისთვის შაჰის რეფორმები, რა თქმა უნდა, მანამდეც ცნობილი იქნებოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეფე სიმონ პირველი, რომლის უახლოესი თანამებრძოლიც გიორგი სააკაძე იყო, დაუღალავად იბრძოდა საქართველოს ერთ სამეფოდ გაერთიანებისა და სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის. სიმონის მოღვაწეობისათვის დამახასიათებელი იყო აგრეთვე “უგვაროთა” წრიდან ნიჭიერი ადამიანების დაწინაურება დიდ სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე (გიორგის მამა-ბიძების მაგალითი). ეს ხდებოდა დიდ ფეოდალთა ინტერესების საპირისპიროდ, რომელნიც ქვეყნის ცენტრალიზაციის მოღვაწეებად ვერ გამოდგებოდნენ.

ამდენად, სააკაძე თავის შემდგომ მოღვაწეობაში სიმონ მეფის საქმის გამგრძელებლად გვეხატება. იქნებ ამიტომაც ქართველმა ხალხმა ორივე ეს შესანიშნავი მოღვაწე “დიდის” ეპითეტით შეამკო – ერთი დიდი მეფე იყო, მეორე კი – დიდი მოურავი.

სააკაძე ლუარსაბის გამეფებისთანავე მისი უახლოესი მრჩეველი და თანამშრომელი შეიქნა. მალე იგი თბილისის მოურავად, ანუ ამირთ-ამირად დანიშნა მეფემ. გიორგიმდე ეს თანამდებობა მამამისს – სიაუშს ეკავა. “დიდმოურავიანის” მიხედვით, სიაუში 1605 წელსაც ცოცხალი ჩანს. თუ ეს ასეა, მაშინ იგი ლუარსაბის გამეფების შემდეგ მალე უნდა გარდაცვლილიყო. ყოველ შემთხვევაში, 1608 წელს თბილისის მოურავი უკვე გიორგია (და, მაშასადამე სიაუში უკვე ცოცხალი აღარაა). ამ წელს გიორგი პირველად იხსენიება თბილისის ამირთ-ამირად.

ძველ საქართველოში, არაბთა ბატონობის დროიდან, თბილისის მმართველს ამირთ-ამირა ეწოდებოდა. მას არა მარტო თბილისი, არამედ თბილისის შემოგარენის სოფლებიც ემორჩილებოდა. დავით აღმაშენებლის დროიდან ამირთ-ამირას მეფე ნიშნავდა. ამ თანამდებობაზე ჩვეულებრივ დიდი ფეოდალები ინიშნებოდნენ.

ამირთ-ამირას (ამირას) ქართულ წყაროებში ხშირად მოურავი ენაცვლება. ეს ტერმინიც ძველიდანვე იხმარებოდა, მაგრამ უფრო გავრცელებული პირველი იყო. მე-16 - მე-17 საუკუნეებიდან კი უცხოური წარმოშობის ამირთა-ამირა საბოლოოდ შეცვალა ქართულმა ტერმინმა – მოურავმა. ამასთანავე, მოურავის ფუნქციებიც ამირთ-ამირასთან შედარებით რამდენადმე შეიზღუდა.

მოურავი ქალაქის მმართველი იყო. მას ეკითხებოდა ქალაქის ყველა საქმე, როგორიც იყო: სავაჭრო და სახელოსნო საქმეების მოწესრიგება, ნიხრების დაწესება და ბაჟის აკრეფა, გადასახადების განაწილება და აღება, სამოსამართლო საქმეების გარჩევა, სასამართლო გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა, დამნაშავის დაპატიმრება, უცხოელი სტუმრების მიღება-დაბინავება, მათზე ზრუნვა და სხვა მრავალი.

მოურავს მრავალი ხელქვეითი მოხელე და ასასთა რაზმი ჰყავდა, რომელთა საშუალებით მართავდა ქალაქს. როცა იგი ქალაქში არ იმყოფებოდა, მის ფუნქციებს მოურავის ნაცვალი (მოადგილე), ან რომელიმე სხვა მისი ხელქვეითი მოხელე ასრულებდა.

თბილისის მოურავს დიდი შემოსავალი ჰქონდა ქალაქიდან. პროფ. შ. მესხიას გამოანგარიშებით, მისი წლიური შემოსავალი სამ-ოთხ ათასამდე მანეთს აღწევდა. ამას გარდა, მას დიდძალი პროდუქტი შემოსდიოდა ბაჟისა თუ ძღვენის სახით.

მოურავი ყოველ დილით მოხსენებას უკეთებდა მეფეს ქალაქის მდგომარეობის შესახებ. ის სამეფო საბჭოს წევრი და, საერთოდ, მეფესთან ახლო მდგომი დიდი მოხელე იყო.

სააკაძე, ვახუშტის ცნობით, გარდა თბილისისა, ქალაქ ცხინვალისა და დვალეთის მოურავიც ყოფილა. ამის გამო იგი ეკონომიური მდგომარეობითა და პოლიტიკური უფლებებით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა თბილისის ჩვეულებრივ მოურავთაგან.

მიუხედავად იმისა, რომ მოურავზე უფრო დიდი მოხელეები სხვები იყვნენ (სახლთუხუცესი, მდივანბეგი), სააკაძე ლუარსაბის მეფობაში თავიდანვე დიდ გავლენას ახდენდა სახელმწიფო საქმეებზე. ეს იყო შედეგი სააკაძის პირადი ნიჭისა და უნარისა, რომელიც უფრო ფართო სარბიელს მოითხოვდა, ვიდრე თბილისის ან თუნდაც რამდენიმე ქალაქის თუ პროვინციის მოურავობა იყო.

გივი ჯამბურია.

გმირის სახელობითი სტიპენდიანტები



კასპის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ ტატანაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლეონიძე იმ სტუდენტებს შეხვდნენ, რომლებმაც ტარიელ პის ყოფილი გამგებლის, პოლკოვნიკ ტარიელ შარიფაშვილის სახელობის სტიპენდია. შეხვედრის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დაღუპული გმირის ხსოვნას.

შარიფაშვილის სახელობის სტიპენდია მოიპოვეს. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა წარმატებულ სტუდენტებს დამსახურებული სტიპენდია მიულოცეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს. 2019 წელს კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ მუნიციპალიტეტში მცხოვრები წარჩინებული სტუდენტებისთვის დააწესა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული კას-

სტუდენტებმა მადლობა გადაუხადეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს არამარტო სტიპენდიისთვის, არამედ საჯარო სკოლის კურსდამთავრებული მედალოსნების ყოველწლიური ჯილდოსთვის. გამოითქვა სურვილი ტარიელ შარიფაშვილის დაბადების დღეზე 20 დეკემბერს - მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად ერთობლივად მივიდნენ მის საფლავზე.

სასმელი წყლის მოწყობის სამუშაოები

სოფელ გუდალეთში, თაგვიაშვილების უბანში სასმელი წყლის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტი ითვალისწინებს ფილტრატის და მაგისტრალის მოწყობას.

სამუშაოები "სოფლის მხარდაჭერის" პროგრამის ფარგლებში ხორციელდება და 3 4559 ლარით ფინანსდება.

პროექტის დასრულების შემდეგ უბანს, რომელსაც ი/მ არჩილ ყოჩიშვილი აწარმოებს, წყლის მიწოდების პრობლემა მოეხსნება.

კასპში საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნება

კასპში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნება.

იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, ბოლო რამდენიმე წელია, აქტიურად მუშაობს ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობების გაზრდის ხელშესაწყობად.

საქართველოს მთავრობამ მრავალი მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა საჯარო სექტორში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. შედეგად, ქალაქებსა და მუნიციპალურ ცენტრებში, მოსახლეობას საშუალება აქვს, ისარგებლოს ხარისხიანი სერვისებით.

რეაბილიტაციის ეტაპის სამუშაოები

კასპის მუნიციპალიტეტში დაიწყო სოფლების ყარაფილა-სარიბარი-ზადიანთკარის, თბილისი-სენაკი-ლესელიძეს ჩქაროსნულ მაგისტრალთან შემაერთებელი გზების სრული რეაბილიტაციის ეტაპის სამუშაოები.

გზაზე მოეწყობა რკ/ბეტონის კიუვეტები, ლითონის ცხაურები, ეზოში შესასვლელები, დაიგება ასფალტის საფარი და საგზაო ნიშნები.

გზის სიგრძე 4200 გრძივი მეტრია.

სამუშაოები დაფინანსდა რეგიონალური განვითარების ფონდისა და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ. მასზე 2 550 000 ლარი იხარჯება, რომლის სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს "იბოლია" ახორციელებს.

აღნიშნული სოფლები ოკუპირებული ტერიტორიების გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებია, ამიტომ პროექტი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, ხოლო ზადიანთკარი მაღალმთიანი სოფელიცაა.

სამუშაოების დასრულების შემდეგ რეაბილიტირებული გზით ისარგებლებს 1000-ზე მეტი ბენეფიციარი, ასევე უცხოელი დამკვირვებლებიც.

სოფელ ხოვლეში გაზიფიცირების სამუშაოები დაიწყო

სოფელ ხოვლეში გაზიფიცირების 38 000 გრძივი მეტრი მაგისტრალის სამუშაოები დაიწყო. პროექტი ითვალისწინებს მკვებავი მაგისტრალის, შიდა ქსელების და საუბ- ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული შპს კომპანია "კავკასიონი" ახორციელებს. პროექტის ღირებულება 1 083 888 ლარია. ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე

ნო გაზგაყვანილობების მოწყობას.

სამუშაოებს შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მიერ გამოცხადებულ კონტროლს ახორციელებს შპს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

სოფელ ოკამში

სოფელ ოკამში საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის და გათბობის სიტემის მოწყობის სამუშაოები დასრულდა.

შენობაში შეიცვალა წყალმომარაგების, კანალიზაციის, ელექტრო გაყვანილობის სისტემები, სახურავი, კარ-ფანჯრები, იატაკი და კეთილმოეწყო ეზო.

სამუშაოები კასპის მუნიციპალიტეტის მერიამ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დააფინანსა და მასზე 132 235 ლარი დახარჯა.

საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია შპს "მოურავმა" განახორციელა.

გ ი ნ დ ა თ, გაეცნოთ საინტერესო, საქმიან და მნიშვნელოვან ცვლილებებს ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში?
გამოიწერეთ ,,ახალი განთიადი,, გახდით ჩვენი მკითხველი!

ხელოვნური ხელობიანობა ოსტატებთან

ახალი სასწავლო წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე კასპის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის /მენეჯერი ლელა პეტრიაშვილი/ ისტორიის წრის წევრებმა მარიამ მერებაშვილმა და ნანა ილურიძემ, რომლებსაც პატარა ბარბარე ჩარაევიც შეუერთდა /ექსკურსანტებს თან ახლდა მოსწავლეთა სახლის ლიტერატურის წრის ხელმძღვანელი მანანა ყაბანაშვილი/, გულის წადილი შეისრულეს... საქმე ის გახლავთ, რომ ისტორიის წრის ხელმძღვანელის ნანა მერებაშვილის მოწადინებითა და ხელშეწყობით მოსწავლეები აგვისტოს მიწურულს კასპელ ხელმარჯვე ქალბატონებს ქეთევან ღვინიაშვილსა და ქეთევან ნონიაშვილს სახლში ესტუმრნენ. ბავშვები იქ ნანახმა მხატვრული რეწვის ნიმუშებმა, გულთბილი მასპინძლების ხელით დამშვენებულმა და საგულდაგულოდ მოვლილმა კარ-მიდამომ, უიშვიათესი ყვავილნარით მორთულმა დეკორაციებმა ერთბაშად მოხიბლა და გაანცვიფრა...

– მოგეხსენებათ, ხალხური რეწვა, ტრადიციული, ქართული ხელსაქმე, უამრავი ფერებით დამშვენებული ნაქსოვ-ნაქარგი, ორიგინალური ნახატები, ათასგვარი ხელნაკეთი ნივთი, ბევრის ყურადღებას იზიდავს, – საუბრობს ნანა მერებაშვილი, – ამ თემებით ჩვენი წრის მოსწავლეები ყოველთვის იყვნენ დაინტერესებული და ამიტომ გადავწყვიტეთ, ეს შანსი /რადგან მასპინძლები უყოყმანოდ დაგვთანხმდნენ/ ხელიდან არ გაგვეშვა, ახლოს გავცნობოდით ამ არაჩვეულებრივი ქალბატონების ფანტაზიის ნაყოფს, უფრო მეტიც, ყველამ ერთად ვიხილეთ უჩვეულო, "ხელოვანების" სიკეთითა და სიყვარულის სხივებით გამთბარი მათეული ჯადოსნური სამყარო.

ბავშვები თვალს ვერ აცილებდნენ ნაირ-ნაირ საყვავილეებსა და ქოთნებს, ნატიფი ხელით შესრულებულ წნულებს და კალათებს, ნაქსოვ-ნაქარგებს, ულამაზეს ქართულ ორნამენტებს, მომცრო სკივრებსა და პაწაწინა ზარდახშებს, შანდლებს...

აქ ყველაზე ყურადსაღები და მნიშვნელოვანი ის არის, რომ ბავშვები ძალიან დაინტერესდნენ, აკვირდებოდნენ თითოეულ დეტალს, სვამდნენ შეკითხვებს, გამოთქვამდნენ თავიანთ მოსაზრებასა და კმაყოფილებას, მოწონებას, რაც ყველაზე მთავარია, გულდასმით ისმენდნენ მასპინძლების ნაამბობს:

ქეთევან ღვინიაშვილი, მერებაშვილი – როგორც კი საოჯახო საქმეს თავს დავაღწევდი, საყვარელ საქმეს ვუთმობდი დროს, რომელზედაც მთელი ცხოვრება ვოცნებობდი, ეს არ გახლდათ მხოლოდ გატაცება, მერე და მერე საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ეს იყო მოთხოვნილება, ჩემი სულიერი სამყაროს გამოძახილი... ამდენად, სულაც არ გამკვირვებია, როდესაც ამ საქმეში ჩემი თანაზიარი გახდა ჩემი ქალიშვილი თამარი, ახლა იგი ქარგვის ასოციაციის წევრია, აქვს უამრავი ნამუშევარი და ხშირად აწყობს ნაქსოვ-ნაქარგებისა და მხატვრული რეწვის გამოფენებს.

ქეთევან ღლონტი, ნონიაშვილი:

– 1981 წლიდან კასპელების რძალი ვარ, ბავშვობიდან მიზიდავდა ხელსაქმე, მგონი ხუთი წლის ვიქნებოდი, როდესაც ჩემს თოჯინას ლამაზი კაბა შევუკერე, კერვა, ქსოვა და ქარგვა არასოდეს მიმიტოვებია. ბევრს მოეწონა ჩემს მიერ დამზადებული ბუხრის სამშვენისი დეკორატიული ხე, რომლის ღერო ზღვიდან გამორიყული ევკალიპტის ძირისგანაა დამზადებული, მის გარშემო შემოვავლე მანეულის წნული ღობე და როგორც ჩემს მშობლიურ ოზურგეთში ეძახიან კოპწია კიბე – "ალაგე" მივუდგი.

მოკლედ, სტუმარ-მასპინძელმა ვერც კი შენიშნა როგორ გავიდა დრო, ვიდრე დაემშვიდობებოდნენ ერთმანეთს, მოსწავლეებმა მარიამ მერებაშვილმა და ნანა ილურიძემ მოკრძალებით სთხოვეს ტრადიციული ხელსაქმის ოსტატებს, რომ დაეხმარონ ბავშვებს ხელსაქმის შესწავლაში და რასაკვირველია, კეთილშობილი ქალბატონები ულაპარაკოდ დაითანხმეს... ამ ლამაზი დღის ნაყოფიერი შედეგი ის არის, რომ ხელსაქმის შესასწავლად მარიამ მერებაშვილი ოსტატს უკვე რეგულარულად აკითხავს.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.

ხსოვნის უკვდავსაყოფად

„მამულს უპირველეს გული ყოვლისა„

ქალაქის ცენტრში, დიდების მემორიალთან 27 სექტემბერს ქართული მიწის დასაცავად მამაცურად დაღუპული მეომრების უკვდავსაყოფად შეიკრიბნენ კასპელი მოსწავლეები და ახალგაზრდები, ჩვენი ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ომისა და შრომის ვეტერანები... საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა უკვდავსაყოფად აქ მოვიდნენ კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებასთან არსებული მოსწავლეახალგაზრდობის სახლის ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის წრის /ხელმძღვანელი ნანა მერებაშვილი/ ბავშვებიც, რომლებმაც ყვავილებით შეამკეს დიდების მემორიალი.

შემდეგ კი მოსწავლეებმა უჩა გოგოლაძემ, ნანა ილურიძემ, ბარბარე ჩარაევმა და ნინო ბერუაშვილმა მხატვრულად წაიკითხეს ლადო ასათიანის, კოლაუ ნადირაძის, ელგუჯა მაღრაძის პატრიოტულ თემაზე შექმნილი ლექსები. ამაღლებულად, ორიგინალურად აჟღერდა ნანა ილურიძის მიერ წარმოთქმული ლოცვა: "ღმერთო ძლიერო და კაცთმოყვარეო, დალოცე და დაიფარე ქართველთა და აფხაზთა მშვიდობა და ერთობა... შეგვინდე ყოველნი უსჯულოებანნი ჩვენნი, მოგვიტევენ უნდობლობა და სიძულვილი, ძმათა სისხლისღვრა და შურისძიება.

ღმერთო ძლიერო, აღგვიდგინე ურთიერთნდობა და სიყვარული, ურთიერთთავგანწირვა და მიმტევებლობა, ურთიერთპატივისცემა, მოგვივლინე სასწაული და დედა საქართველოს კალთას დაუბრუნე წართმეული აფხაზეთი" – ეს ვედრებასავით წარმოთქმული მოსწავლეების გულისძახილი მემორიალთან შეკრებილმა დამსწრე საზოგადოებამ დიდი ემოციებით აღიქვა.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.

არჩევანი თქვენ!

სამშობლოს სიყვარული ძალიან ჰგავს მშობლების სიყვარულს, ის არსებობს მიუხედავად ყველა გაჭირვებისა, გულაცრუებისა თუ უღონობის ჟამს. ვერ გაგირკვევია, როგორ შეიძლება სულ უფრო და უფრო იზრდებოდეს ისედაც სამყაროს დამტევი სიყვარული.

წელს პირველად მიიღებენ არჩევნებში მონაწილეობას 18 წლის გოგობიჭები. მათ ჯერ არ განელებიათ სკოლის მერხიდან გამოყოლილი თავგადასავლის ხალისი, სკოლის დერეფნების სინათლე.

თქვენს პირველ არჩევანს დაგილოცავთ ძვირფასებო! დე,

იყოს ის შეუმცდარი და წარმატებული! იცოდეთ! თქვენ უკვე დაგეწყოთ სამშობლოსათვის აქტიური მოქმედების დრო!

გიორგი ხაკაძის პიროვნება

ააკაძის ფენომენის შეცნობის გზაზე აუცილებელია გაირკვეს, თუ რა მიზეზები ამოძრავებდა ამ პიროვნებას, რას გვიდასტურებენ წყაროები, ისტორიკოსები, ფაქტები და მოვლენები – ააკაძის რა ფარულ და გაუმჟღავნებელ გეგმებს შეიცავენ ისინი. ამ მიზეზების შეუსწავლელად შეუძლებელი ხდება როგორც ეპოქის უმთავრესი მოვლენების ამოცნობა, ასევე ააკაძის პიროვნების დახასიათება. ამ საპატიო მიზანთან კი დაკავშირებულია ქართველი ხალხის წარსულის უმნიშვნელოვანესი ეპოქის შინაარსი; მიზანიც თავის მხრივ ამ შინაარსიდან არის ამოზრდილი. ისინი ერთმანეთში გადადიან, ერთურთს ერწყმიან და ერთმანეთის ფესვებს კვებავენ.

მაგრამ იმისათვის, რომ ააკაძის მიზნები დაგვიდასტურდეს, საჭიროა მისი ბიოგრაფიის დასაწყისის გაშუქება. კერძოდ, გასარკვევია, საიდან მოვიდა ეს კაცი, რა ადგილი ეკავა ფეოდალურ კიბეზე მის გვარს, რის უფლებას აძლევდა თავისი წოდებრივი მდგომარეობა და პიროვნული ღირსებები – ერთად აღებული. მე-19 საუკუნეში პლატონ იოსელიანს, ხოლო ჩვენს დროში ისტორიკოს გივი ჯამბურიას და ფილოლოგ რიმა ფარცხალაიშვილს დეტალურად აქვთ შესწავლილი ააკაძის გენეალოგია, მისი გვარის აღზევების მთელი გზა, პირადად ააკაძის აღზევება წყაროებსა და საბუთებზე დაყრდნობით.

როსტომ მეფის (ხოსრო-მირზა) გაცემულ "წყალობის სიგელში" გიორგი ააკაძის წინაპრად მოხსენებულია ვინმე ჯანზურაბ ააკაძე. იგი თამარ მეფის დროს მოღვაწეობდა და თამარისაგან განსაკუთრებული დამსახურების გამო წყალობად მიუღია მამულები. უფრო ადრეული წინაპარი გიორგი ააკაძისა საბუთებსა და წყაროებში არ ჩანს. ოღონდ, საფიქრებელია, რომ ააკაძეთა გვარი მანამდე იწოდებოდა აზნაურად.

1652 წლის "წყალობის სიგელში", რომელიც გიორგი ააკაძის ვაჟის – იორამისათვის მიუცია როსტომ მეფეს, ვკითხულობთ: "შენის ძველის მთა-მამულების წერილებიც გავშინჯეთ. ნეტარად ხსენებულს თამარს შენის გვარის ააკაძის ჯანზურაბისათვის რაც სოფლები ებოძებინა, თქვენს ძველს სამკვიდრებელს გარდა, და აგრეთვე დავით მეფეს და დიდ სვიმონ მეფეს და ლუარსაბ მეფეს, კიდევ გულშარ დედოფალს და სხუათ მეფეთა რაც წყალობა ექმნათ, ამათი წერილებიც გვაჩვენეთ".

როგორც ვხედავთ, ერთობ ტევადი ცნობაა. ამ ცნობიდან ვგებულობთ, რომ იორამ ააკაძეს როსტომ მეფისათვის მრავალი წყალობის წიგნი უჩვენებია. მათგან უფრო მნიშვნელოვანთ, როსტომ მეფე ჩამოთვლის კიდეც. ჩამოთვლილთაგან, გივი ჯამბურიას სიტყვით, შემორჩენილია სიმონ პირველი დიდის, ლუარსაბისა და გულშარის საბუთები. ჩვენამდე არ მოუღწევია თამარ მეფისა და დავით მეფის (დავით IX) მიერ გაცემულ საბუთებს. მაგრამ, როგორც ირკვევა, იორამს სხვა საბუთებიც ჰქონდა ხელთ. "და სხუათაო" – წერს როსტომ მეფე. არგუმენტებად, ცხადია, ჩამოთვლილი საბუთებიც კმარობდა, მხოლოდ იმიტომ არ გააგრძელა როსტომ მეფემ საბუთების დასახელება. მაგრამ "და სხუათა" შემთხვევით არ იქნებოდა დოკუმენტში თქმული. გარდა ამისა, ჩანს, რომ ჯანზურაბ ააკაძისათვის თამარ მეფის მიერ მამულების წყალობის დროს ამ გვარს ჰქონია "თავისი სამკვიდრებელი". არა მგონია, უბრალოდ გლეხის სამკვიდრებელზე იყოს საუბარი. მაშინ საბუთში საჭირო არ გახდებოდა ყურადღების გამახვილება "თქვენს ძველ სამკვიდრებელზე" და რაკი ამის აღნიშვნა საჭიროდ ჩათვალეს, ცხადია, მნიშვნელოვანი ადგილ-მამულის პატრონად ჩანან ააკაძეები. სოფლებს ერთბაშად გლეხს მეფე არ აჩუქებდა და თუ უწყალობებდა, უკვე გააზნაურებაზე მიდგებოდა საქმე და საბუთში სწორედ ეს მნიშვნელოვანი ფაქტი აისახებოდა. ერთი სიტყვით, გვარი ჯანზურაბ ააკაძემდეც მოღონიერებული ჩანს. ყოველივე ამის ცოდნა აუცილებელია, რათა ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ გიორგი ააკაძის საზოგადოებრივ მდგომარეობის გამო, კერძოდ, თუ როგორ თანდათან, კანონზომიერად, ისტორიულად ხდებოდა ააკაძეთა გვარის დაწინაურება-ამაღლება.

პლატონ იოსელიანს ხელთ ჰქონია როსტომ მეფის მიერ გაცემული მეორე "წყალობის წიგნიც". მასში მოხსენიებულია ვინმე დონა ააკაძე, როგორც საქართველოს მეფის ბაგრატ V დიდის /1360-1395 წ. წ./ ახლო თანამებრძოლი. თემურ ლენგის მიერ თბილისის აღებისას იგი ტყვედ ჩავარდნილა ბაგრატ მეფესა და დედოფალ ანასთან ერთად. მივაქციოთ ყურადღება ამ ფაქტს – დონა ააკაძე მეფესთან ერთად ვარდება ტყვედ, მასთან ერთად არის თბილისში, უახლოესი კარისკაცია და იმდენად თავდადებული, რომ მეფეს გვერდიდან არ შორდება ტყვედ ჩავარდნის დროსაც. მეფისადმი ერთგულების ტენდენცია ბატონებს ჯანზურაბ ააკაძიდან მოყოლებული ააკაძეთა გვარში, თაობიდან თაობას გადაეცემა ეს ტრადიცია. ისტორიკოსთა მიერ კარგად არის ახსნილი ამ ტრადიციის გამომკვებავი მიზეზები. ასევე ხსნიან მას პლატონ იოსელიანი, აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი და უშუალოდ ააკაძის ეპოქის ზედმიწევნით კარგად მცოდნე გივი ჯამბურიაც. აზნაურული სულისკვეთება მეფის უფლებების გაძლიერების, სახელმწიფო ცენტრალიზაციის მხარეზეა. მეფის ხელისუფლების განმტკიცება კიდევ უფრო აძლიერებს აზნაურთა კლასს, რაც შეეხება ადგილ-მამულებით გაყოყოჩებულ დიდგვაროვნებს, ისინი, როგორც წესი, ეურჩებიან მეფეს, პატარა ხელმწიფეებად გრძნობენ თავს თავიაანთ სამფლობელოში და ფაქტიურად ქვეყნის დაქუცმაცებისა და დაუძლურების პროცესს ემსახურებიან. მეფეს სწორედ აზნაურთა (არა დიდგვაროვანთა) კლასზე დაყრდნობით შეუძლია ქვეყნის გაძლიერება-განმტკიცება. სამაგიეროდ, აზნაურებს წყალობა ელით მეფისაგან. ეს წყალობა, უმეტეს წილად მამულების ბოძებით რომ გამოიხატებოდა, საბოლოოდ თავადობისაკენ მიმავალი გზაა. ამ გზაზე კი ყოველი რიგითი აზნაური დგას და ყოველი მათგანი ოცნებობს გათავადებაზე. ეს სავსებით ბუნებრივი ადამიანური სურვილი, ისტორიული სინამდვილით დადასტურებული შინაარსია. ამაღლება-გაძლიერება აზნაურისა მეფის ხელისუფლების სიმტკიცეზეა დამოკიდებული, მხოლოდ მეფეს ძალუძს წყალობის გაცემა, აზნაურის დაწინაურება, დიდგვაროვანი კი ყოველთვის ზიზღით და შიშით უყურებს "პოტენციური თავადის" მოღონიერებას. იგი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში თუ უწყალობებდა აზნაურს მამულს, ყოველ შემთხვევაში იმდენს არა, გათავადებისაკენ გზა რომ გახსნოდა მის ქვეშევრდომს.

და, აი, აზნაურთა ეს ცნობილი გზა აღზევებისა გაიარა გიორგი ააკაძის გვარმა. მე-16 საუკუნისათვის ააკაძეთა გვარი არნახულად მოღონიერებული ჩანს. დიდი მოურავის წინაპარი – გიორგი ააკაძე – უკვე პატრონად იწოდება 1547 წლის საბუთში, ივანე ჯავახიშვილის აზრით, პატრონად მხოლოდ მსხვილი ფეოდალი იწოდებოდა. დიდი თანამდებობა და დიდი ქონება ყოველთვის არ ნიშნავდა ფეოდალობას. გივი ჯამბურიას აზრით, ამ დროისათვის ააკაძეები ჯერ კიდევ არ არიან თავადები.

ააკაძეთა გაძლიერება მხოლოდ და მხოლოდ მეფისადმი ერთგულების გზით მიდის. გიორგი ააკაძის მამა სიაუში და ბიძები: ზეშთაელი, ზურაბი და ივანე დაახლოებული არიან სამეფო კართან და თავდადებით ემსახურებიან სიმონ პირველ დიდს. გივი ჯამბურიას ცნობით: "1569-1578 წლებში (როცა სიმონ მეფე სპარსელების ტყვეობაშია) სიმონის მეუღლე, ნესტან-დარეჯანი, "ერთგულსა ყმასა და თავდადებით ნამსახურს ააკაძის გიორგის შვილს ზეშთაილს" წყალობად აძლევს ქ. გორში ერთ კომლ ვაჭარს თავისი მამულით".

ამ ზეშთაილის ერთ-ერთი ძმა, ე. ი. გიორგი ააკაძის – დიდი მოურავის – ბიძა სახლთუხუცესია ქართლის მეფის კარზე, თანაც ხანგრძლივად 1590-1607 წლებში. სახლთუხუცესობა კი, მოგეხსენებათ, ძალიან დიდ თანამდებობად ითვლებოდა. მაშასადამე, ააკაძეთა აღზევება სიმონ მეფის დროს განსაკუთრებით დაჩქარდა და თვალში საცემი გახდა სიმონ მეფის მემკვიდრეების გიორგი X-სა და ლუარსაბ II-ის დროს.

მეფისადმი ააკაძეთა თავდადებული სამსახური ისტორიული საბუთებით ცხადლივ მტკიცდება და ეს ბევრ საგულისხმოს გვეუბნება: "სამეფო კართან დაახლოებული და დიდი თანამდებობის პატრონი იყო ზეშთაელ ააკაძის ერთ-ერთი ძმაც – დიდი მოურავის, გიორგის მამა სიაუში. ის სიმონ მეფის მუსაჰაბი (მრჩეველი) ყოფილა. სიაუში მუსაჰფად იხსენიება 1588 წლის ერთ საბუთში. ამავე დროს ორენოვანი საბუთის ქართულ ტექსტში ის მუსაჰბად, ხოლო სპარსულ ტექსტში მოლარედ არის მოხსენებული. როგორც ჩანს, სიაუში მეფის საჭურჭლის (საგანძურის, სალაროს) გამგებელი ყოფილა, 1590 წელს მას უკვე მოურავის თანამდებობაც უჭირავს. მართალია, აქ არ არის ნათქვამი, თუ რისი მოურავია სიაუში, მაგრამ საფიქრებელია, რომ ის სწორედ თბილისის მოურავი იყო და შემდეგ ეს თანამდებობა მისმა შვილმა გიორგიმ მიიღო მემკვიდრეობით, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდებოდა იმ დროს (გ. ჯამბურია).



ერთი სიტყვით, ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ ააკაძეთა გვარი აზნაურთა დაწინაურების ტიპიური გზით ამაღლდა. ეს გზა მეფის ერთგულების, სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის გზაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი ააკაძის ახლობლების ერთგულება სიმონ პირველი დიდისადმი. მამა, ბიძები, თვითონ გიორგი ააკაძე თავდადებით ემსახურებიან სიმონ პირველ დიდს, მის შვილს გიორგი მეათეს, შვილიშვილს ლუარსაბ მეორეს. ამ თავდადებული სამსახურის საფასურად წინაურდებოდნენ ისინი და მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ. სიმონ დიდისა და მისი შთამომავლობისადმი ერთგულება ქვეყნის სიმტკიცე-გაძლიერებისათვის ბრძოლა ტრადიციას ამკვიდრებდა გვარში. ტრადიცია კი სულისკვეთების აღმზრდელია, იგი აყალიბებს პიროვნებას, განსაზღვრავს მის სამოქმედო გეგმებს და გადადგმულ ნაბიჯებსაც.

გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტსაც, რომ თვით გიორგი ააკაძე – დიდი მოურავი – იყო უშუალოდ სიმონ მეფის თანამებრძოლი. იგი სავსებით ახალგაზრდა იბრძვის მის მხარეზე. 1594 წელს სიმონ მეფეს გიორგი ააკაძისათვის მიუცია წყალობის წიგნი, სადაც "ერთგულს, თავდადებით ნამსახურს ყმას" უწოდებს. მეფემ ლისი უწყალობა ააკაძეს, გარდა ამისა, ცნობილია, რომ მიქელ თამარაშვილი, ვისაც ხელთ ჰქონია მოხსენება პიეტრო დელ-ვალესი, წერს: "პიეტრო დელ-ვალე მოგვითხრობს აგრეთვე, როგორ ხშირად დაიარებოდნენ პატრეების წირვაზე ბატონი მერაბ, რომელიც სიმონ მეფეს სიკვდილამდე ტყვეობაში ახლდა, მისი შვილი და სხვა". ეს ფაქტი "დიდმოურავიანის" სტრიქონებითაც მტკიცდება (რამდენადაც ცნობილია, ისტორიკოსების ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ უცხოელები გიორგი ააკაძეს მოიხსენიებენ ხან მოურავად, ხან მერაბად, ხან მეხრუდ, მურად და სხვა...).

ჯანსუღ ღვინჯილია.

ფეხბურთი

„გენერალი„ მასტერლიგის შიდაპირველობის გამარჯვებულია

კასპის საუბნო გუნდმა "გენერალმა" ქალაქის საფეხბურთო სტადიონის ხელოვნურსაფარიან მოედანზე წარმატებით დაიცვა მუნდირის ღირსება. სამხედრო წოდების სახელდებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ასეა. ქალაქის სამი უბნისა და სოფლების გუნდების 2-ჯგუფიანი გათამაშება 6 სექტემბერს დაიწყო და 10 ოქტომბერს დასრულდა.

"გენერალი" თავიდანვე ფავორიტად მოიაზრებოდა და, აი, რატომ: გუნდის ძირითადი ბირთვი ნაცადი მოთამაშეები არიან, მათ ფუტსალის (ანუ დარბაზის) პარკეტის მოედანზეც უთამაშიათ და მათი უმეტესობა საქართველოს პირველობის მე-5 ლიგაში მოასპარეზე "კასპის" გუნდში ახლაც გამოდის. ამდენად, "გენერალმა" საკუთარი გულშემატკივრის მოლოდინიც გაამართლა და საპატიო სახელიც, რომელიც სახელოვანი ქართველი გენერლის - გიორგი მაზნიაშვილის ხსოვნის საპატივსაცემოდ ქვია.

"გენერალი" კენჭისყრით "ა" ჯგუფში მოხვდა და ყველა მეტოქეს ფიცხელი ბრძოლა გაუმართა, უნდა ითქვას, რომ ვერც ერთმა სათანადო მეტოქეობა ვერ გაუწია. ამაზე გუნდის შედეგიანობაც მოწმობს: პირველ თამაშში სოფელ ლამისყანის გუნდი დაჯაბნა 10:1-ზე, შემდეგ აღაიანს მოუგო 7:3, მესამე ტურში კი სასირეთის (თვით გენერალ მაზნიაშვილის მშობლიური სოფლის წარმომადგენელი) გუნდიც არ დაინდო – 9:1. აი, მეოთხე თამაში კი არც გაუმართავს, რადგანაც მანამდე სამმარცხწვნეულმა ზემო ხანდაკმა "უსიტყვო კაპიტულაცია" გამოაცხადა, ე.ი. აღარ ეთამაშა, ამიტომ, ცხადია, "გენერალს" ტექნიკური მოგება მიეკუთვნა (5:0) და ჯგუფში ლიდერის პოზიცია 100-პროცენტიანი შედეგით დაიკავა: 4 მოგება და 12 ქულა, ბურთები 31:5.

გუნდის ბომბარდირები გახდნენ თორნიკე თაგვიაშვილი 8 გოლით და ვალერი ზანგური 6 გოლით. მათ ყველა თამაშში გაიტანეს ბურთები, ხოლო დანარჩენი კიდევ 9 ფეხბურთელის წილად მოდის.

"გენერალმა" ჯგუფურ ეტაპზე ნაჩვენები შედეგიანობის ნიშნული არც პლეიოფურ მატჩებში დაუშვა დაბლა. გათამაშების დებულების თანახმად აქ მისი პირველი მეტოქე აღმოჩნდა სოფელ ქვემო გომის გუნდი, რომელიც "ბ" ჯგუფში მეოთხეადგილოსნობას დასჯერდა. მან ვერც აქ გაუწია თანაბარი წინააღმდეგობა "გენერალს" და 3:8-ზე დამარცხდა. ამით "გენერალი" პირველი გავიდა ნახევარფინალში. საინტერესო და რამდენადმე მოულოდნელი სიტუაცია გათამაშდა "ბ" ჯგუფში, სადაც ახალქალაქი-მეტეხის გაერთიანებულმა გუნდმა საპლეიოფო შეხვედრა კი მოუგო სასირეთთან და გზა გაიხსნა ფინალისაკენ. აქ სათამაშოდ აღაიანელებმა 2:1-ით მოგება იკმარეს ვარჯაანთან პაექრობაში და უნდა ითქვას, რომ ქსნისპირელმა მოთამაშეებმა გადამწყვეტ შეხვედრაში, მართლაც, ყველაზე ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს ძლიერ მეტოქეს, მაგრამ ვერა, თავს ზემოთ ძალა არც მათ აღმოაჩნდათ, ერთი ეგაა, 4-ზე მეტი ბურთი არ გაატანინეს.

სირეთის გუნდს (6:5), ანუ პირველადგილოსანმა მეოთხეადგილოსანს, მაგრამ იმის გამო, რომ მინდორზე განუცხადებელი მოთამაშე გაიყვანა, შეჯიბრების საორგანიზაციო ჯგუფმა მოგება გაუუქმა და სასირეთის გუნდმა, ტექნიკური მოგების წყალობით, გაუთვალისწინებლად მოიპოვა ნახევარფინალის საგზური.

10 ოქტომბერს, შეჯიბრების დასკვნით დღეს, ნახევარფინალისტი გუნდები შემდეგნაირად დაწყვილდნენ: სასირეთისა და "გენერალის" გუნდები კვლავ შეიყარნენ კენჭისყრით, ხოლო მეორეში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ სოფელ აღაიანისა და კასპის "ვარჯაანის" მოთამაშეები.

"გენერალმა" 5 ბურთზე ნაკლები არც ამჯერად გაიტანა სასიკეთოდ. ეს ალბათ ბევრ ფაქტორზე ერთად, ერთ-ერთ ფაქტორად ის ფაქტიც ჩაითვლება, რომ "ბ" ჯგუფში ერთ-ერთ ლიდერ "ბ" ჯგუფში ერთ-ერთ ლიდერ "ბ" ჯგუფში ერთ-ერთ ლიდერ

მიზანი - ტურიზმის განვითარება

გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ქვეყნის მასშტაბით გამართულ საგრანტო ხუთწლიან კონკურსში, რომელსაც აფინანსებს იუსაიდი და დიდ წარმატებასაც მიაღწია. მოკლედ, საგრანტო პროექტი "ზრდა" მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნის როგორც კერძო, ასევე საჯარო მუზეუმების მხარდაჭერას ადგილობრივი და საერთაშორისო ვიზიტორების მოზიდვის მიზნით.

საგრანტო პროექტში /"ზრდა"/ მონაწილეობისათვის, პროგრამის პირველ ეტაპზე შეირჩა საოკუპაციო ხაზთან ახლოს მდებარე მუზეუმები, როგორც შიდა ქართლში, ასევე სამეგრელოს რეგიონში და სულ დაფინანსდა ცამეტი საუკეთესო პროექტი რა თქმა უნდა, დაფინანსებულ მუზეუმებს შორის ცნობილი გახდა კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიც.

– მოგეხსენებათ, რომ ჩვენი დაწესებულება შეირჩა იმ მოტივით, როგორც საოკუპაციო ზოლთან მოსაზღვრე ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მუზეუმი და ბუნებრივია, ამ კონკურსის პროგრამის შესწავლასა და დაგეგმარებას განსაკუთრებული ძალისხმევა და ყურადღება დავუთმეთ, – აცხადებს კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი გიორგი ჩადუნელი, – თავდაპირველად შევქმენით სამუშაო ჯგუფი, ამდენად, ჩემთან ერთად პროექტზე მუშაობდნენ ჩვენი თანამშრომლები გვანცა კელაპტრიშვილი, თეა ბიჭიკაშვილი და ხატია ხორგუაშვილი, რასაკვირველია, სამუშაო ჯგუფს გვერდში ედგა მუზეუმის თითოეული წევრი, ისე რომ მთელი მუზეუმი იყო მობილიზებული, მეტიც, ძალიან მონდომებული რათა ეს პროექტი წარმატებით დასრულებულიყო.

მართალია, სამუშაო ჯგუფის წევრებს პანდემიამ შეუშალა ხელი და პროექტზე მუშაობა რამდენიმე თვით შეფერხდა /ასე იყო მთელი ქვეყნის მასშტაბით/, მაგრამ ივნისში, დისტანციურ-ონლაინ ტრენინგების დახმარებით როგორც კი განახლდა პროცესი, სულ მოკლე ხანში განახლებული, სათანადო დონეზე შემუშავებული კასპელთა პროექტი ჩაბარდა საგრანტო კომისიას.

თვენახევრის ლოდინის შემდეგ კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა მიიღო სასურველი და ფრიად სასიხარულო ინფორმაცია: ჩვენი მუზეუმი "ზრდა" პროექტისაგან მიიღებს დაფინანსებას 27 ათასი ლარის ოდენობით და აგრეთვე, პროექტის ფარგლებში მუზეუმს თანადაფინანსებას /3000 ლარის ოდენობით/ გაუწევს კასპის მუნიციპალიტეტის მერია.

საბოლოოდ კი, აღნიშნული დაფინანსება მოხმარდება მრავალფუნქციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცის მოწყობას ტექნოლოგიურად მოწინავე მოწყობილობებით.

საგრანტო პროექტის მთავარი მიზანიც ხომ ეს არის, ტურიზმის სექტორის განვითარების ხელშეწყობა, პროექტის სამიზნე გეოგრაფიულ არეალში არსებული ბიზნესების ზრდითა და გაძლიერებით, ვიზიტორების მოზიდვით.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ...

* კალათბურთი: ქ. გორის ცენტრალურ მოედანზე ამას წინათ რამდენადმე უჩვეულო სასპორტო შეჯიბრება ჩატარდა: შიდა ქართლის მუნიციპალიტეტებისა და ქ. თბილისის მოყვარულ კალათბურთელთა გუნდებმა სახელდახელოდ გააწყვეს კალათბურთის ფარები და მხარის პირველობა გაითამაშეს კალათბურთში (3X3).

იქ საასპარეზოდ კასპიდან 2 გუნდი წავიდა. მათგან ერთი უფრო მარჯვე გამოდგა და მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა (აღსანიშნავია, რომ ფინალში გასასვლელი თამაში დათმო პირველობის მომავალ ჩემპიონთან, თბილისის გუნდთან).

გორის საკალათბურთო ტურნირში "კასპერსის" სახელით გამოდიოდნენ: ტატო მეშველაშვილი, ვახტანგ ჩხეიძე, გურამ ბლუაშვილი, უშანგი მოსიაშვილი, ლაშა მამულაშვილი, ლუკა ხორგუაშვილი, საბა დაბრუნდაშვილი და შალვა შალუტაშვილი.

* კარატე: ტელეკომპანია "რუსთავი – 2"-ის დილის სპორტულ გადაცემაში მიწვეული იყო ქ. თბილისის ნაკრები გუნდი (კახა ბასილიას თავკაცობით). აღსანიშნავია, რომ მასში მონაწილეობისათვის კასპიდან საგანგებოდ მიიწვიეს სპორტგაერთიანების საბრძოლო ხელოვნებათა კლუბი "კასპის" ნორჩი სპორტსმენები. მწვრთნელმა ალექსანდრე მანძულაშვილმა სატელევიზიო გადაცემაში მონაწილეობისათვის თან იახლა შეგირდების ჯგუფი: მარიამ მანძულაშვილი, საბა ღვალაძე, ზურაბ გოგიაშვილი, თამაზ და დემეტრე ნაროზაშვილები.

*საქმიანი შეხვედრები: კასპის სპორტდაწესებულებების გაერთიანების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ბადრი ჯანიაშვილი განაგრძობს გაცნობითი ხასიათის საქმიან შეხვედრებს სპორტის სხვადასხვა სახეობის მწვრთნელებთან, მენეჯერებთან, სპორტსმენებთან. ორმხრივად სასარგებლო დიალოგებით განიხილება პანდემვითარებიდან გამომდინარე სადღეისო საკითხები, სახვალიო გეგმები და ამოცანები.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

სტასიუური მუსიკის IX ეროვნულ ფესტივალზე

ზაფხულის მიწურულს კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებასთან /დირექტორი ლალი ჯანჯალაშვილი/ არსებული სამუსიკო სკოლის გუნდი მიწვეული იყო ქალაქ ბორჯომში გამართულ კლასიკური და ხალხური მუსიკის IX ეროვნულ ფესტივალზე...

ქალაქის ცენტრალურ პარკში, ღიაცის ქვეშ გამართულ სანახაობრივ კონცერტს ბევრი მაყურებელი ესწრებოდა. უცხო ტურისტების გარდა აქ იყვნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მოწვეული სტუმრები, მუსიკოს- შემსრულებლები, ქართული ფოლკლორისა და ხელოვნების თაყვანისმცემლები.

– წელს უკვე მეხუთედ მივიღეთ მონაწილეობა ამ პრესტიჟულ ფესტივალზე, ძალიან მადლიერი ვართ, უდიდეს მადლობას ვუხდით ჩვენი მუნიციპალიტეტის მერიის ხელმძღვანელობასა და კულტურის სამსახურს, რომლებიც გვერდში დაგვიდგნენ, იზრუნეს ჩვენს გამგზავრებასა და სხვა ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაზე. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე და სამთავრობო რეგულაციების ფონზე, თქვენ წარმოიდგინეთ, მაინც საკმაოდ წარმომადგენლობითი აღმოჩნდა ეს კულტურული ღონისძიება, –

დასასრული გვ 10

ᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ

ცოდეს მიყი მეოლიან

მამა გაბრიელის სიბრძნე, რომელიც რწმენის განმტკიცებაში დაგვეხმარება

მამა გაბრიელი (ერისკაცობაში გოდერძი ვასილის ძე ურგებაძე) - ქართველი საეკლესიო მოღვაწე - არქიმანდრიტი, ბერი. ქართველი წმინდანი. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ 2012 წლის 20 დეკემბერს შერაცხა წმინდანთა რიგებში და მისი ხსენების დღედ დააწესა 2 ნოემბერი.

შეიცან შენი უძლურება და უფალი გაგაძლიერებს შენ.

სიყვარული ლომს ქედს მოადრეკინებს.

კარგ ბერს ერთი სეფისკვერი უნდა ეყოს.

როგორც კი შესცოდავ, მაშინვე შეინანე.

გული ვისგანაც მოგეცა, იმასვე ეკუთვნის.

ღვთის განგების იმედი არასოდეს დაჰკარგო.

გულით სინანული მეტია ცრემლით სინანულზე.

მოწყალება ოქროა, მოთმინება კი ბრილიანტი.

სადაც მეტი მადლია, საჩუქარიც მეტი იქნება.

მიწიერი ადამიანის გაღმერთება არ შეიძლება.

ჯერ უგუნური უნდა იყო, რომ მერე ბრძენი გახდე.

ღმერთი უმაღლესი განგებით სცდის ადამიანებს.

ყველა წესსა და კანონზე უპირატესი სიყვარულია.

დიდი მადლია, მტრედებს და ჩიტებს აჭამო საჭმელი.

ცუდია, როცა ენა წინ გისწრებს, ჭკუა კი უკან გრჩება.

ვინც ენასა და მუცელს სძლია, ის უკვე სწორ გზაზე დგას.

ᲩᲕᲔᲜᲖᲔ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲔᲜ

სოფელ თელიანში უკვე 8 წელია მუშაობს სამედიცინო პუნქტი. მასში მომუშავე პერსონალი ექიმ ლელა ქვრივიშვილის ხელმძღვანელობით გამოირჩევა პაციენტებისადმი გულთბილი დამოკიდებულებით, ნუგეშის და გამბედაობის მიცემით. სწორედ მათი რჩევით გადავწყვიტე გამეკეთებინა რთული ოპერაცია. ღმერთმა დალოცოს ექიმი მამუკა მჭედლიძე, ჩინებულად ვარ.

სამედიცინო პუნქტის შენობის პირველ სართულზე ახლახან ფუნქციონირება დაიწყო მეტეხის აფთიაქის ფილიალმა, დამონტაჟდა აქვე ჩასარიცხი აპარატი. მომსახურე ნინო თბილელაშვილს მადლობით მოიხსენიებენ სოფლის მაცხოვრებლები მისი თავაზიანი მომსახურების გამო.

ნინო სულ ეხმარება ხანდაზმულებს, ეხმარება აპარატში თანხის ჩარიცხვებზე.

ასე რომ, თელიანის მაცხოვრებლებს აღარ უხდებათ გადაადგილება მეტეხში ან კასპში. კიდევ და კიდევ დიდი მადლობა ზრუნვისათვის.

ნუგზარ კორკოტაძე.

ᲛᲘᲮᲣᲗᲘ ᲚᲘᲗ

რუბრიკა - წ�lიბოდან ,,მიხუთი ლრი,, ილოლიბა თქვენგ გამოხმაურებგ. მობრძანლით რიდაქციაში, გაგვაცანით თქვენი ნამუშევრები (წარმოვლგინეთ ილუსტრირებული ვერსია) და გვაცანით იგინი ცხოგლებგ.

,,ახალი გაზეთი,, იძებგ ცალიერებლი ადგილებგ ბალიანგ ცაგაზეთ ფოტო-მასალაგან შენცალმენელია. თხოვნით მივმართავთ თანამშრომლებგ - ლაფლოვეთ თქვენი ყველა ჩვენგ მასალაგში! გამოგვიგზავნეთ ცალიერებლი და ცახალებლი ფოტოები!

ახალი სტანდარტების სრული დაცვით

მიმდინარე წლის 12 ოქტომბრიდან კასპის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში თითქმის რვათვიანი შეფერხების შემდეგ მთელი დატვირთვითა და ახალი რეგულაციების მაქსიმალური დაცვით საგანმანათლებლო-საალმზრდელო პროცესი განახლდა... არაჩვეულებრივი, მომხიბვლელი

და მხიარული სანახავები იყვნენ მშობლიურ და ნაცნობ გარემოს მონატრებული პატარები, აღმზრდელ-პედაგოგები და მშობლები. არადა, თებერვლის ბოლოდან მოყოლებული საქართველოს მთავრობის მოწოდება "დარჩი სახლში" უკლებლივ ყველა საალმზრდელო დაწესებულებამ გაიზიარა, ხოლო საურთიერთობო მექანიზმი ანუ ონლაინ რეჟიმი ყველა ბაღის ერთგვარი სახელმძღვანელო გახდა.

– ასეთ ექსტრემალურ ვითარებაში, რაც მთელი მსოფლიოს და ქვეყნის მასშტაბით ხდებოდა, ბუნებრივია, უნდა გამოგვეყენებინა ყველა საშუალება, გაგვეთვალისწინებინა ყველა სამთავრობო გზავნილი, რათა მოსალოდნელი გართულებებისაგან გადაგვერჩინა ჩვენი საბავშვო დაწესებულებები, – განმარტავს კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, – ასეც მოვიქეცით, მართალია, ბავშვები დროებით შინ გავუშვით, მაგრამ მათთან ურთიერთობა ერთი დღითაც არ შეგვიწყვეტია, ოპერატიულად, ორგანიზებულად გვარდებოდა ყველა პრობლემა, მათ შორის, ბავშვთა საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა, დაგეგმილი და დროში გაწერილი აქტივობები და სხვა გამოწვევა, რომელიც შეიძლება დამდგარიყო ჩვენს წინაშე.

მოკლედ, კოვიდ –19-ის გავრცელებამ ბევრი საფიქრალი, მეტიც, სერიოზული პრობლემის წინაშე დააყენა დიდიც და პატარაც, რადგან სკოლამდელი ბავშვთა აღზრდის თემა საერთოდ, ერთობ ფაქიზი და სპეციფიური გადასაწყვეტია,

ამიტომ აღსაზრდელისთვის, მისი ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის აუცილებელია ჯანსაღი და მშვიდი გარემოს შექმნა. სწორედ ამ თვალსაზრისით იყო, რომ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის

დაწესებულებების გაერთიანების თანამშრომლებმა რაიონის ხელმძღვანელობის დახმარებითა და თანადგომით მთელი რიგი სამუშაოები ჩაატარეს იმისათვის, რომ ყველა საბავშვო დაწესებულებაში დაცული ყოფილიყო დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული კოვიდ – 19-ის პრევენციასთან დაკავშირებული რეგულაციები... მოგეხსენებათ, რომ დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში გაერთიანებულ აღსაზრდელთა საერთო რაოდენობა 1.370 შეადგენს, სულ ფუნქციონირებს 25 ბაღი /აღსანიშნავია, რომ ამჟამად აღაიანის ორჯგუფიან საბავშვო ბაღში, რომელიც გათვლილია 60 აღსაზრდელზე, ინტენსიურად მიმდინარეობს სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები/.

სხვათა შორის, როგორც გაერთიანების დირექციაში აცხადებენ, ამ ახალ რეგულაციებთან დაკავშირებით სოფლების თითქმის ყველა ბაღში იყო მოთხოვნები, რომელიც შეეხება როგორც კვების ბლოკს, ასევე საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფასაც, რაც რასაკვირველია, უსწრაფესად იქნა მოგვარებული.

ერთი სიტყვით, სასწავლო-საალმზრდელო პროცესის განახლებამდე ყველა საბავშვო ბაღში დაწესებული გეგმაგრაფიკის მიხედვით, თანმიმდევრობით, ორგანიზებულად წარიმართა სადეზინფექციო სამუშაოები, ყველა ბაღი აღჭურვილია დეზობარიერებით, დისტანციური თერმომეტრებით, პირბადეებითა და დისპენსერებით... ნებისმიერი შენობის შესასვლელთან დაგხვდებათ ბაღის წარმომადგენელი, რომელიც ოპერატიულად, კვალიფიციურად ატარებს თერმოსკრინინგს და მთელი ყურადღებით, პასუხისმგებლობით აკონტროლებს როგორც აქ მუშავე პერსონალის, ასევე, აღსაზრდელების ჯანმრთელობის მდგომარეობას.

აღნიშნული პროცედურის გავლის შემდეგ გადაინაცვლებთ საიზოლაციო ოთახში, სადაც დროებით მოთავსდება სიცხიანი და რესპირატორული სიმპტომების მქონე /ცხადია, თუ ამის აუცილებლობა გახდა საჭირო/ ბავშვი.

საყურადღებო გახლავთ ის გარემოებაც, რომ სასწავლო წლის განახლებამდე ჩატარებულ სხვადასხვა სიახლეთა შორის მნიშვნელოვანი ფაქტია ისიც, რომ ხმარებიდან ამოღებულია ისეთი სათამაშოები, რომელთა რეცხვა და დეზინფიცირება შეუძლებელია. და კიდევ, ჯგუფებში დანერგილია

ისეთი აქტივობები, გასართობი და შემეცნებითი ღონისძიებები, რომ ბავშვებს შორის დაცული იყოს დისტანცია... დღეში რამდენჯერმე ხდება საძინებელი და სააღმზრდელო ოთახების ბუნებრივი ვენტილაცია და, რა თქმა უნდა, მაგიდებს შორის დაცულია /განსაზღვრული/ მანძილი,

საწოლები კი, განლაგებულია ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით, ისე, რომ პატარები წოლის დროს სახით ერთმანეთის საპირისპიროდ აღმოჩნდნენ.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში განსაკუთრებულ მიდგომებსა და ყურადღებას ითხოვს კვების ორგანიზება, რომელიც ხორციელდება ტექნიკური რეგლამენტის კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულებების ნორმების დაცვით. სურსათის მომზადებისას დაწესებულება განსაკუთრებულ გულისხმიერებას და ყურადღებას იჩენს სისუფთავის დაცვაზე. დროულად, ოპერატიულად სრულდება მზა და ნედლი პროდუქტების განცალკევება, სურსათის სათანადო თერმული დამუშავება, აგრეთვე, სურსათის შენახვა სათანადო ტემპერატურის პირობებში.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების კვების ბლოკი აღჭურვილია საჭირო ინვენტარითა და მოწყობილობა-დანადგარებით, მზარეულებისათვის შეძენილია წინსაფრები, ხალათები, ქუდები, ხელთათმანები, ბახილები.

როგორც ყოველთვის, საბავშვო ბაღებში უდიდესი ყურადღება ექცევა სისუფთავისა და სანიტარული ნორმების დაცვას, მაგრამ ახლა უწინდელზე უფრო მეტად გამკაცრებულია დასუფთავებისა და დეზინფექციის ზომები.

დასუფთავებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ საგნებს, რომლებსაც ხშირად ეხებიან ხელით, მაგალითად, კარ-ფანჯრების სახელურები, ონკანები და ჩამრთველები, შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაზე გაასმაგებული ყურადღებაა გამახვილებული, რათა ყოველგვარი დაძაბულობისა და ექსცესების გარეშე წარიმართოს პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლა და თუ ეს ასე მოხდა, რასაკვირველია, რთული ნამდვილად არ იქნება "უხილავი მტრის" დამარცხება.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

გილოცავთ!

ვახტანგ გორგასლის სახელობის ტაძრის დეკანოზს გიორგი ხოჯავას ვულოცავთ საიუბილეო დაბადების დღეს (50 წლისთავს) და კასპში მოღვაწეობის 20 წლისთავს! მადლობას მოგახსენებთ მრევლზე ყოველდღიური ზრუნვისათვის.

გისურვებთ გაბრწყინებულ და გამთლიანებულ საქართველოში ცხოვრებას თქვენს ოჯახთან ერთად.

კიდევ დიდხანს გვეგულებოდეთ იმედად და ნუგეშად, ჩვენო საყვარელო მოძღვარო!

მრევლი.

ლალი ზერეკიძეს და ვასკა მერებაშვილს ვულოცავთ საიუბილეო დაბადების დღეს და ბედნიერი ოჯახური ცხოვრების 35 წლისთავს. გვიყვარხართ და გვეამაყებით!

ბიძაშვილები

კლასიკური მუსიკის IX ეროვნულ ფესტივალზე

დასასრული.

აცხადებს კასპის სამუსიკო სკოლის გუნდის პედაგოგი გიორგი ხასიშვილი, — და, ამდენად, აღარ გამკვირვებია, თუ რატომ ღელავდნენ ჩვენი გუნდის მომღერალ-შემსრულებლები.

თუმცა, ის პატარა ვნებათა ღელვა და გასაგები განცდა სცენაზე გამოსვლისთანავე "დაიმორჩილეს" ბავშვებმა და, როგორც თვითმხილველები გადმოგვცემენ, ისე ომახიანად დააგუგუნეს ხალხური ქართლური "ნამგლური" და "ცელო მოუსვი ბალახსა", რომ მაყურებელი ხანგრძლივი ტაშით შეხვდა ჩვენს მომღერლებს... და ისმოდა ბორჯომის თვალწარმტაც პარკში სოლისტის მიხეილ ჟივიძის, მარიამ დათაშვილის, ლაშა ქორთიაშვილის, ლიზი მიდელაშვილის, ნათია კურტანიძის, მარი სულაშვილის, ხატია გინტურის და ნიკა ბეგლარაშვილის განუმეორებელი ხმები. ამიტომაც იყო, რომ ფესტივალის ჟიურიმ წარმატებული გამოსვლისათვის ყველა მოსწავლე და გუნდის პედაგოგი დიპლომებით დააჯილდოვა.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სახელოვნებო სკოლების დაწესებულებების გაერთიანება.

გოჩა თათრიშვილი - ჩვენი დროის რაინდი

ჩვენი დღეების გმირმა, გოჩა თათრიშვილმა 31 წლის სიცოცხლე იკმარა, მაგრამ ხანმოკლე სიცოცხლეში მოასწრო მამულის კაი ყმობა, სიცოცხლე უძღვნა მშობელ ქვეყანას და ეზიარა მარადისობას, ვითარცა ვაჟკაცთა, ძველქართველთა წესია.

საქართველოს უახლეს ისტორიაში უმძიმეს დღეს, 1993 წლის 27 სექტემბერს — აფხაზეთის დაკარგვისა და სოხუმის დაცემის დღეს — სეპარატისტებმა დახვრიტეს ქალაქის დამცველი უკანასკნელი 37 გმირი ქართველი, უშიშარი ჟიული შარტავას უერთგულესი თანამებრძოლი...

მხოლოდ 24 წლის შემდეგ, 2017 წლის ოქტომბერში გახდა შესაძლებელი მანამდე უგზო-უკვლოდ მიჩნეული გმირების ცხედრების ამოცნობა და თბილისში გადმოსვენება, აქ, ვაშლიჯვრის ძმათა სასაფლაოზე მხედრული პატივით დაიკრძალა ისიც, ჩვენი დროის გმირი თანაქალაქელი — ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერი, ვისი სახელიც ამოკვეთილია ქ. კასპის ცენტრში, საბრძოლო დიდების მემორიალის მარმარილოს ფილებზე, ვისი სახელიც უახლოეს პერიოდში მიეკუთვნება ქ. კასპში ქუჩას, რომელზეც იგი სახლობდა.

იმავე (2017) წლის ოქტომბერში რაღა იქნებოდა და დეკემბერში გმირის მშობლიურ ქალაქში პირველად გაიმართა მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური ტურნირი კალათბურთში.

2020 წლის 20 ოქტომბერს, გოჩა თათრიშვილის დაბადების (1962 წ.) 58-ე წლისთავთან დაკავშირებით, მეოთხედ ჩატარდა გმირის ხსოვნის უკვდავყოფის შეჯიბრება, ოღონდ, ამჟამინდელი საყოველთაო პანდემიური სიტუაციიდან და შეზღუდვებიდან გამომდინარე, ერთობ მოკრძალებული ფორმატითა და მასშტაბით, მასში ჩაერთო კასპიდან ორი და ერთიც სტუმარი გუნდი გორიდან, ცოტა იყო მაყურებელიც.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანების ორგანიზებით ჩატარებული წლევანდელი ტურნირის გამარჯვებული გუნდია "კასპერსის" მოყვარულ კალათბურთელთა ნაკრები (მწვრთნელი დავით ჯინიყაშვილი). მათ გადაეცათ გოჩა თათრიშვილის სახელობის თასი, შესაბამისი ხარისხის დიპლომი და ფულადი ჯილდო. აი, გუნდის შემადგენლობა: ლევან გეჯაძე (კაპიტანი), შალვა შალუტაშვილი, სოსო შოთნიაშვილი, ზურაბ გოჭოშვილი, ვახტანგ ჩხეიძე, ტატო მეშველაშვილი, ვატო ალაპიშვილი, რეზო კერესელიძე და საბა დაბრუნდაშვილი. მეორე ადგილი წილად ხვდათ სტუმრებს — გორელ კალათბურთელებს. მათ რიგებში საუკეთესო იყო გუნდის კაპიტანი ტატო ონიაშვილი, მას საგანგებო პრიზი გადაეცა.

ტურნირის ყველაზე უმცროს მოთამაშეს დათო ნიკოლიშვილს სპეციალური პრიზი გადასცა საბრძოლო ხელოვნებათა კლუბი "კასპის" ხელმძღვანელმა ალექსანდრე მანძულაშვილმა.

შეჯიბრების საუკეთესო მოთამაშედ კი დასახელდა კასპელთა ახალგაზრდული გუნდის წარმომადგენელი ტარიელ თაბუაშვილი. სამსაჯოდ მოწვეული იყვნენ გამოცდილი რეფერები თბილისიდან, ეროვნული კატეგორიის მსაჯები: დემურ სადღობელაშვილი და მიხეილ ანდღულაძე, ხოლო მთავარი მსაჯი, ტრადიციულად, გია გვალია ბრძანდებოდა — ვეტერანი კალათბურთელი და ცხოვრებაში გოჩა თათრიშვილის დიდი მეგობარი.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

ხსოვნა

გოგიტა მოსიაშვილი

ერთი წელი მიილეულა, ისევ უმძიმესი ოქტომბერი, შენი დაბადების დღის მოლოდინი, ... გარდაცვალება - 31 ოქტომბერი... გაჩერებული დრო, აკვიატებული კითხვა - რატომ?

... მერე, როცა ოჯახის წევრის მოლოდინი დროს უერთდება, როცა თავს აჩვევ ფიქრში ესაუბრო უახლოეს ადამიანს, როცა წონასწორობას ეძებ ულონო მოლოდინსა და გამანადგურებელ მონატრებას შორის, სრული სიცხადით ხედავ, რამდენად მოულოდნელი შეიძლება იყოს ბედისწერა...

... იქნებ ვერც გამოვფხიზლებულიყავით, იქნებ ამ მოგონებისთვის ვერც დაგვეგდა თავი, რომ არა შენი მოსახელის დაბადება. ჯერ ერთი თვე არ არის, რაც გოგიტა მოსიაშვილის სახელი ისევ გაისმის ჩვენს ოჯახში, სანათესაოში, შენმა მეგობრებმაც გაიხარეს.

თავს ვინუგეშებთ რომ ფიქრში, მოგონებაში, ჩვენს გულში ერთად ვართ და ფიზიკური ერთად ვერყოფნა მისხალსაც ვერ აკლებს ჩვენ სიყვარულს.

ოჯახი.

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისთვის 2020 წლის 10 სექტემბრიდან - 2020 წლის 31 ოქტომბრამდე გამოყოფილია გაზეთის ფართობი. გაზეთის ერთ ნომერში გამოყოფილი ფართობის სიდიდე შეადგენს 5520სმ², მთლიანად გამოყოფილი ფართობის უფასო ნაწილის სიდიდე შეადგენს 2760 სმ² A 3 ფორმატის ჩანართის ღირებულებაა 368 ლ (1სმ²-40 თეთრი).

რედაქტორი
ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი:
2600 ქ კასპი
სააკაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76